ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N27

ქ.თბილისი

11 სექტემბერი, 2018 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	ლევან არველაძე
რამინა ბერაძე	გულია გოცირიძე
გიორგი გაბაშვილი	ლევან დავითაშვილი
ოთარ გრიგოლია	გიორგი დოხტურიშვილი
ბექა დავითულიანი	ფრიდონ ინჯია
ლევან დარახველიძე	ერეკლე კუხიანიძე
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი	ქეთევან მამულაშვილი
თევდორე ისაკაძე	შალვა ოგბაიძე
თინათინ ნიბლოშვილი	თამარ ტალიაშვილი
ელენე ოზაშვილი	ვახტანგ შაქარიშვილი
დათო ჟღენტი	გიორგი ჩაკვეტაძე
რევაზ სოხაძე	ლევან ხაბეიშვილი
დავით უთმელიძე	ლევან ჯაფარიძე
დავით ჭელიძე	ჯაბა ჯიშკარიანი
ალექსანდრე ხუჯაძე	ილია ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ეკა ცეცხლაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ალექსანდრე ტოგონიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ წარმომადგენელი მირანდა ბერძენიშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ლევან ხაბეიშვილმა ისაუბრა აგლაძის ქ.N83-ში მიმდინარე მშენებლობაზე, სადაც, მისი თქმით, 3-4 კორპუსის შუაში შენდება კიდევ ერთი კორპუსი და იმედი გამოთქვა, რომ საკრებულოს შესაბამისი კომისია შეისწავლის აღნიშნულ საკითხს და დარწმუნდება, რომ ამ მშენებლობის განხორციელება არ შეიძლება. ასევე, დაინტერესდა, როდის განხორციელდება გზის რეაბილიტაცია ნაძალადევის რაიონში, ნოსტეს ქუჩაზე. ისაუბრა სარესტორნო მომსახურებასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებზე და განაცხადა, რომ არაფერია „არანორმალური" იმაში, რომ სტუმრებს უნდა ვუმასპინძლოთ, თუმცა, თუ გავიხსენებთ წინა ხელისუფლების დროს ამ მიმართულებით გაწეული ხარჯების დათვლას, ეხლაც უნდა აღინიშნოს, რომ იმ ფონზე, როდესაც სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებისთვის შედგენილ მენიუში წერია წიწიბურა, ლობიო და ბარდის წვნიანი, სტუმრებს ვუმასპინძლდებით შებოლილი ორაგულით, სუშით, პანაკოტით და განაცხადა: „კარგია, რომ სტუმარს პატივს ვცემთ. არ იქნება ცუდი, ჩვენს თანამოქალაქეებსაც რომ მივხედოთ ასე გულუხვად". ლევან ხაბეიშვილმა გაიხსენა საკრებულოს ერთ-ერთი სხდომა, რომელზეც ისაუბრა ქვემო ფონიჭალაში მდებარე საბავშვო ბაღის პრობლემებზე, რომელიც, მისი თქმით, ინგრეოდა და ბაღის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები იფლანგებოდა. მაშინ „ქართული ოცნების" წარმომადგენლების თქმით, ეს იყო ტყუილი და სპეკულაცია. რამდენიმე დღის წინ, სწორედ ამ ბაღთან დაკავშირებული დარღვევების გამო, დააკავეს ოთხი ადამიანი და დაინტერესდა, დღეს რა პოზიცია აქვს საკრებულოს უმრავლესობას ამ საკითხთან დაკავშირებით.

გიორგი გაბაშვილმა ისაუბრა ჯონ მაკ-კეინის დამოკიდებულებაზე საქართველოს მიმართ და ითხოვა, საკრებულომ, უახლოეს მომავალში, იმსჯელოს იმაზე, რომ თბილისში, ერთ-ერთ ქუჩას, პარკს ან გამზირს მიენიჭოს მისი სახელი. აქვე, გამოთქვა იმედი, რომ ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი ექნება.

ვახტანგ შაქარიშვილმა კომენტარი გააკეთა გიორგი გაბაშვილის მოსაზრებაზე და აღნიშნა, რომ საკითხის განხილვას წინ არაფერი უდგას, თუმცა, „უხერხული და სასაცილო" უწოდა ადამიანების თუ ღირებულებების მიმართ მხოლოდ ამ ფორმით პატივისცემის გამოხატვას. ასევე, გამოეხმაურა ლევან ხაბეიშვილის სიტყვებს და განაცხადა, რომ „ხალხისთვის მიუღებელი და დისკრედიტირებული პარტიების" ერთადერთი გზა არის გააკეთონ ფაქტების მოდელირება და „გამოგონილი ამბებით" საზოგადოება შეიყვანონ შეცდომაში. სტუმრების გამასპინძლებასთან დაკავშირებით გაწეულ საბიუჯეტო ხარჯებზე აღნიშნა, რომ ყველას ახსოვს წინა ხელისუფლების წარმომადგენლების პირადი ინტერესების გამო დახარჯული საბიუჯეტო სახსრები და განაცხადა, რომ უმჯობესი იქნება, თუ ამ საკითხებზე საუბრის ნაცვლად, საზოგადოებას მივაწვდით ინფორმაციას თბილისში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომლებიც მიმართულია დედაქალაქის და მოსახლეობის კეთილდღეობისკენ.

ოთარ გრიგოლია გამოეხმაურა ლევან ხაბეიშვილის მიერ სტუმრების გამასპინძლებასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებზე გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მასპინძლობს არაერთ საერთაშორისო დონის სტუმარს და კომფერენციას, მათ შორის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, საერთაშორისო და ქართველ ბიზნესმენებს და ა.შ. და აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ მერიას აქვს წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც მიზნობრივად იხარჯება იმისთვის, რომ თბილისს ჰქონდეს მომავალი და ქალაქში შემოვიდეს დამატებითი ინვესტიციები.

დავით ჭელიძემ განმარტება გააკეთა ლევან ხაბეიშვილის მიერ დასმულ კითხვაზე, თუ როდის განხორციელდება გზის რეაბილიტაცია ნაძალადევის რაიონში, ნოსტეს ქუჩაზე და აღნიშნა, რომ ამ ქუჩაზე არის როგორც გზის, ასევე სანიაღვრე პრობლემა. კომპანია „ჯივიპი“ დაიწყებს სამუშაოების შესრულებას მომავალი წლის დასაწყისში.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში ხდება ორი მნიშვნელოვანი რამ: ერთი, რომ „ქართული ოცნება“ ეთანხმება პრეზიდენტობის კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის მოსაზრებას, რომ საქართველომ დაიწყო ომი რუსეთის წინააღმდეგ, რაც, ნიკოლოზ ვაჩეიშვილის აზრით, შესანიშნავი პლატფორმაა იმისთვის, რომ მომავალში განხორციელდეს ცხინვალის და აფხაზეთის რეგიონების საქართველოსგან ჩამოცილება და მეორე, დღეს გაჟღერებული ინფორმაცია, რომ საქართველო იქნება მარიხუანას მწარმოებელი ქვეყნების რიცხვში, რასაც „ჩვენი ქვეყნის კატასტროფა და უბედურება“ უწოდა და განაცხადა, რომ „დეტალებზე საუბარს, აჯობებს თვალი გავუსწოროთ ამ საშინელ რეალობას“.

ბექა დავითულიანი გამოეხმაურა ნიკოლოზ ვაჩეიშვილის სიტყვებს და აღნიშნა, რომ სანამ „ქართული ოცნება“ სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურას გამოუცხადებდა მხარდაჭერას, მანამდე გაკეთდა განმარტებები, რომ სალომე ზურაბიშვილის მოსაზრებაში აგვისტოს ომთან დაკავშირებით იგულისხმებოდა ის, რომ მაშინდელი ხელისუფლების უგუნური ნაბიჯები იყო რუსეთის აგრესიის ხელშემწყობი, რომლის შედეგადაც საქართველომ დაკარგა კიდევ ორი რეგიონი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

2. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის N12-29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ბექა მიქაუტაძე

3. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: მირანდა ბერძენიშვილი;

4. „ქალაქ თბილისში, სოფელ ნასაგურში, ნაძვების ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.14.373.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

5. „ქალაქ თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩის I შესახვევი N20-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.11.05.011.374) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

6. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, მე-3 მიკრორაიონის კორპუს 10ᵃ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.004.043) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ.: N 01.16.05.032.024) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ.: 01030001988) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.16.05.032.024) 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იულია იორდანიშვილისთვის (პ/ნ.: 01010000361) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.16.05.032.024) 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო სეხნიაშვილისთვის (პ/ნ.: 01006000972) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.16.05.032.024) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნოდარ სამხარაძისთვის (პ/ნ.: 01024006992) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.16.05.027.029) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ა.ლორდისთვის“ (ს/კ.: 404521111) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N7-ის მიმდებარედ არსებული 221 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.18.03.062.008) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გალენისთვის“ (ს/კ.: 404497665) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.16.05.032.019) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გეორგიოს ყავასთვის“ (ს/კ.: 402072047) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N28-32-ის მიმდებარედ არსებული 2398 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.10.15.012.026) 47 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელისთვის'' (ს/კ.: 405243927) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე რეგისტრირებული 536 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.18.03.061.039) 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ჯულიეტა ნატროშვილისთვის (პ/ნ.: 01011024753) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N112-126-ის მიმდებარედ არსებული 804 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.13.08.008.033) 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნასიმისთვის" (ს/კ.: 405086507) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. N7-ის მიმდებარედ არსებული 23 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.14.012.029) პირდაპირი განკარგვის წესით ვახტანგ კანდელაკისთვის (პ/ნ.: 01026004919) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს ქ. N1-ში მდებარე 124 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.13.021.041) პირდაპირი განკარგვის წესით ტრისტან ღარიბაშვილისთვის (პ/ნ.: 01024038167) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, აბანოს ქ. N17-ის მიმდებარედ არსებული 31 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.18.03.063.054) პირდაპირი განკარგვის წესით ვახტანგ კანდელაკისთვის (პ/ნ.: 01026004919) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი საპრივატიზებო საფასურით N01.18.03.005.025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების პირობებიანი აუქციონით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2018 წლის 6 თვის მუშაობის ანგარიში";

მომხსენებელი: რამინა ბერაძე

22. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 [illegible] ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე
თანამომხსენებელი: ალექსანდრე ტოგონიძე

23. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ზვიად გამსახურდიას სანაპიროსთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის არქიტექტორის ჯოვანი სკუდიერის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

24. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, წერეთლის გამზირსა და ალექსი გოგოლაურის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის ბუენოს-აირესის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

25. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ტარას კვარაცხელიას ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო შესახვევისთვის ტარას კვარაცხელიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

26. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, რუსთაველის ქუჩისთვის და მასთან არსებული I ჩიხისთვის შოთა რუსთაველის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

27. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში, დიდგორის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის დიდგორის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

28. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ელიას მთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

29. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ჭანდრის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

30. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, დიდუბის II შესახვევისთვის ალექსი გოგოლაურის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

31. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ჯურხა ნადირაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ჯურხა ნადირაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

32. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ისტორიკოსის, აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

33. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ისტორიკოსის, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

34. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, საირმის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მუსიკოსის ოთარ რამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

35. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ადამ მიცკევიჩის ქუჩის შესახვევისთვის მუსიკოსის ოთარ რამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

36. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგებში, ნუშის ბაღების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კინორეჟისორის დიმიტრი (დიმა) ბათიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

37. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მერაბ მამარდაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის გიორგი ქარაიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

38. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვარდენ წულუკიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი გასასვლელისთვის ფოლკლორისტის, ლოტბარ ფილიმონ ქორიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

39. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ილია აბულაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

40. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის აკაკი ბელიაშვილის IV ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

41. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ზვიად გამსახურდიას სანაპიროსთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ფილოსოფოსის, აკადემიკოს ბაჩანა ბრეგვაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

42. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ქართლის მეფის დაჩი უჯარმელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

43. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის წმინდაწყლის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

44. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ე.წ. სამხედრო ქალაქში მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის უშანგი (შმაგი) სოფრომაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

45. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო მოედნისთვის ფილოლოგის, პროფესორ ილია აბულაძის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“, კერძოდ, მონიტორინგს, რომელსაც აქამდე ახორციელებდა სამსახური, განახორციელებს ეროვნული სკრინინგ ცენტრი და შემოწმების შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე, უფლებამოსილი იქნება მიმწოდებელს, წერილობითი შეტყობინებით, გაუუქმოს ქვეპროგრამაში რეგისტრაცია. ეროვნული სკრინინგ ცენტრი ასევე გააკონტროლებს ქვეკონტრაქტორების მიერ განხორციელებულ საქმიანობას, ხოლო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური კონტროლს გაუწევს ეროვნული სკრინინგ ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამების მონიტორინგს. პროექტით, ასევე წარმოდგენილია რამდენიმე ტექნიკური ხასიათის ცვლილება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის N12-29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია წესში რამდენიმე ცვლილების განხორციელება. კერძოდ: შენობის გამაგრებითი სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში, თვითდაფინანსება 100000 ლარამდე ღირებულების პროექტის შემთხვევაში განისაზღვრება 5%-ით, ხოლო 100000 ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოების შემთხვევაში - 3%-ით, რაც მცირერიცხოვან ამხანაგობებს მისცემს საშუალებას მიზნობრივად და ეფექტურად გამოიყენონ თვითდაფინანსებით განსაზღვრული თანხა; ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო დეფექტური აქტების მომზადებას უზრუნველყოფს გამგეობა; ამხანაგობა, ანგარიშზე თანხის შეტანიდან ერთ დღეში გამგეობას წარუდგენს აღნიშნულის დამადასტურებელ დოკუმენტს.

თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის რეკომენდაციის გათვალისწინებით, უნდა დაკორექტირდეს წესის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი, სადაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს ნაცვლად, რომელიც, დღეის მდგომარეობით, წარმოადგენს გაუქმებულ უწყებას, უნდა მიეთითოს უფლებამოსილი უწყება, კერძოდ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. ასევე, ამავე პუნქტში უნდა მიეთითოს მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ¹“ ქვეპუნქტი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ წარმომადგენელმა მირანდა ბერძენიშვილმა და განმარტა, რომ ქვეყანაში განხორციელებული რეორგანიზაციული პროცესებიდან გამომდინარე, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელწოდებად განისაზღვრა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და შესაბამისად, საჭირო გახდა საბჭოს სახელწოდების ცვლილება. ასევე, კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ცვლილება შედის პრეამბულაში, კერძოდ, იქიდან გამომდინარე, რომ ნორმატიული აქტის გამოცემის და მიღების საფუძველი გათვალისწინებული უნდა იყოს საკანონმდებლო აქტში, პრეამბულის ჩანაწერიდან ამოღებული იქნა მუნიციპალიტეტსა და სამინისტროს შორის გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულება და გაიწერა, რომ საბჭო განახორციელებს დელეგირებულ უფლებამოსილებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისში, სოფელ ნასაგურში, ნაძვების ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.14.373.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 106 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2010 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩის I შესახვევი N20-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.11.05.011.374) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ამხანაგობისთვის 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა, წყალმომარაგების ქსელისთვის გათვალისწინებული წნევის გამაძლიერებელი სატუმბი სადგურის მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, მე-3 მიკრორაიონის კორპუს 10ᵃ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.004.043) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 146 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი პირისთვის, რომლებიც 2007 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ.: N 01.16.05.032.024) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ.: 01030001988) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.16.05.032.024) 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იულია იორდანიშვილისთვის (პ/ნ.: 01010000361) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.16.05.032.024) 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო სეხნიაშვილისთვის (პ/ნ.: 01006000972) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.16.05.032.024) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნოდარ სამხარაძისთვის (პ/ნ.: 01024006992) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.16.05.027.029) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ა.ლორდისთვის“ (ს/კ.: 404521111) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N7-ის მიმდებარედ არსებული 221 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.18.03.062.008) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გალენისთვის“ (ს/კ.: 404497665) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.16.05.032.019) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გეორგიოს ყავასთვის“ (ს/კ.: 402072047) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N28-32-ის მიმდებარედ არსებული 2398 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.10.15.012.026) 47 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელისთვის'' (ს/კ.: 405243927) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე რეგისტრირებული 536 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.18.03.061.039) 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ჯულიეტა ნატროშვილისთვის (პ/ნ.: 01011024753) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N112-126-ის მიმდებარედ არსებული 804 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.13.08.008.033) 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნასიმისთვის“ (ს/კ.: 405086507) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. N7-ის მიმდებარედ არსებული 23 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.14.012.029) პირდაპირი განკარგვის წესით ვახტანგ კანდელაკისთვის (პ/ნ.: 01026004919) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს ქ. N1-ში მდებარე 124 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.13.021.041) პირდაპირი განკარგვის წესით ტრისტან ღარიბაშვილისთვის (პ/ნ.: 01024038167) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისში, აბანოს ქ. N17-ის მიმდებარედ არსებული 31 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.18.03.063.054) პირდაპირი განკარგვის წესით ვახტანგ კანდელაკისთვის (პ/ნ.: 01026004919) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი საპრივატიზებო საფასურით N01.18.03.005.025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების პირობებიანი აუქციონით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ დაგეგმილია ათონელის ქ.N27-ში მდებარე შენობა-ნაგებობის აუქციონის წესით გაყიდვა იმ ვალდებულებით, რომ ინვესტორი ალტერნატიული საცხოვრებელი ფართებით დააკმაყოფილებს აღნიშნულ შენობაში მაცხოვრებელ 32 ოჯახს, რომლებსაც არ აქვთ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები. აღსანიშნავია, რომ თითოეული ოჯახისთვის გადაცემული საცხოვრებელი ფართი უნდა იყოს თბილისის ტერიტორიაზე და მინიმუმ 45 კვ.მ. ასევე, მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას, მილიონი ლარის ფარგლებში, განახორციელოს აღნიშნული შენობის ფასადის რეაბილიტაცია.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ ეს არის ის შემთხვევა, როდესაც წარმოდგენილია ბიზნესის და ქალაქის ინტერესების დამთხვევა, რაც მისასალმებელია. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პროექტის განხორციელების შედეგად, მინიმალური საბიუჯეტო ხარჯებით, მოხდება იმ ადამიანების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილება, რომლებიც წლების მანძილზე ცხოვრობდნენ რთულ პირობებში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2018 წლის 6 თვის მუშაობის ანგარიში“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე რამინა ბერაძემ (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის ანგარიში ცნობის სახით იქნა მიღებული.

22. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ეკა ცეცხლაძემ და განმარტა, რომ ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია 2 პოზიცია (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილები: N12-031823663-03 თარიღი: 24.08.2018 და N12-031823665-03 თარიღი: 24.08.2018). ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის და გარემოს დაცვის კომისიების რეკომენდაციების გათვალისწინებით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია ორივე პოზიციაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ზვიად გამსახურდიას სანაპიროსთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის არქიტექტორის ჯოვანი სკუდიერის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, წერეთლის გამზირსა და ალექსი გოგოლაურის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის ბუენოს-აირესის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ტარას კვარაცხელიას ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო შესახვევისთვის ტარას კვარაცხელიას სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

26. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, რუსთაველის ქუჩისთვის და მასთან არსებული I ჩიხისთვის შოთა რუსთაველის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23 (15)

თავი შეიკავა - 0 (0)

წინააღმდეგი - 0 (1)

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

27. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში, დიდგორის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის დიდგორის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

28. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ელიას მთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

29. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ჭანდრის ქუჩის გაგრძელების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

30. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, დიდუბის II შესახვევისთვის ალექსი გოგოლაურის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

31. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ჯურხა ნადირაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ჯურხა ნადირაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

32. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ისტორიკოსის, აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

33. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ისტორიკოსის, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის სახელის მინიჭების

შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

34. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, საირმის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მუსიკოსის ოთარ რამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

35. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ადამ მიცკევიჩის ქუჩის შესახვევისთვის მუსიკოსის ოთარ რამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

36. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგებში, ნუშის ბაღების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კინორეჟისორის დიმიტრი (დიმა) ბათიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

37. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მერაბ მამარდაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის გიორგი ქარაიას სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე

წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

38. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვარდენ წულუკიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი გასასვლელისთვის ფოლკლორისტის, ლოტბარ ფილიმონ ქორიძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

39. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ილია აბულაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

40. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის აკაკი ბელიაშვილის IV ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

41. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ზვიად გამსახურდიას სანაპიროსთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ფილოსოფოსის, აკადემიკოს ბაჩანა ბრეგვაძის სახელის მინიჭების

შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 18

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

42. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ქართლის მეფის დაჩი უჯარმელის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

43. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის წმინდაწყლის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

44. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ე.წ. სამხედრო ქალაქში მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის უშანგი (შმაგი) სოფრომაძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

45. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, მერაბ ალექსიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო მოედნისთვის ფილოლოგის, პროფესორ ილია აბულაძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 4 დადგენილება და 40 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი